



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 59
05/12/2019

59-04-4-201912051706



ა (ა) ი პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ა (ა) ი პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



ა (ა) ი პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ -ის 2019 წლის

9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

ა (ა) ი პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება დაფუძნდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 იანვარს №01-20/2 განკარგულებით. დღეისათვის გაერთიანება აერთიანებს 15 ბაგა-ბაღს. სადაც რეგისტრირებულია 630 ბავშვი, ბაღებში ფუნქციონირებს 33 ჯგუფი, ძირითადად არის შერეული ჯგუფები.

გაერთიანებაში სამტატო ნუსხით განსაზღვრული არის 210 სამტატო ერთეული და შტატგარეშე 8,5. სადაც 256 თანამშრომელია დასაქმებული.

ქედის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არის საბავშვო ბაღი და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ბავშვს აქვს საშუალება მიიღოს სკოლამდელი განათლება

2019 წელს ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენს-1397800 ლარს;

- 905400 სახელფასო ხარჯები. გახარჯულია-691561ლარი.

- 224270 კვების ხარჯი. გახარჯულია-103690 ლარი.

- 18400 გათბობის ხარჯი. გახარჯულია -16580 ლარი.

12444 სანიტარულ ჰიგიენური საქონელი - 12444 ლარი

- 6900 საწვავი ხარჯი. გახარჯულია -2694 ლარი.

- 50000 ელ. ენერჯის ხარჯი. გახარჯულია 37360ლარი.

- 8000 თხევადი აირის ხარჯი. აქედან გახარჯულია 5300ლარი.

19000 არაფინანსური აქტივები. გახარჯულია 17000ლარი.

- 8951 საკანცელარიო საქონელი. გახარჯულია 8702 ლარი.

გაერთიანება მომსახურების და სხვა საქონლის შესყიდვას აწარმოებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის სრული დაცვით. ბაგა ბაღების გამართული მუშაობისათვის ჩატარდა ტენდერები საკვები პროდუქტების, სანიტარულ- ჰიგიენური საქონლის, საკანცელარიო ნივთების და თხევადი გაზით მომარაგების მიზნით. ტენდერში გამარჯვებული მეწარმეები დროულად და ხარისხიანი პროდუქციით ადგილზე მიტანით ამარაგებენ ბაგა-ბაღებს.

საბავშვო ბაღებში შედის შემოწმებული და ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები და ყველა დასახელების პროდუქტზე წარმოდგენილია სერთიფიკატები. ასევე მოწესრიგებულია მენიუ რომელიც კეთდება თვეში ერთხელ და ეგზავნებათ ბაგა-ბაღებს. მენიუმში დაცულია კვების ნორმები და კალორიულობა რომელიც განსაზღვრულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ნორმებით.

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ძირითადი მიმართულება არის ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა . სკოლამდელი ასაკის ბავშვის ინტელექტუალური განვითარება.

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებას საკრებულოსთან შეთანხმებით აქვს დამტკიცებული სასწავლო სამღზრდელო პროგრამა, რომელიც სავალდებულოა ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ყველა ბაგა-ბაღისათვის. აღნიშნულ პროგრამის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებელი არიან

გაერთიანების მეთოდისტები, რომლებიც პერიოდულად გადიან ბაგა-ბალებში ახორციელებენ მონიტორინგს და რეკომენდაციებს აძლევენ აღმზრდელ მასწავლებლებს.

ბალებში დანერგილია სასკოლო მზაობის პროგრამა. 3 ბაღში გვაქვს სასკოლო მზაობის ჯგუფი ხოლო დანარჩენში პროგრამა ნაწილობრივ ხორციელდება შერეულ ჯგუფებში; გაერთიანებამ მასწავლებელთა უმეტესობა გადაამზადა, აღნიშნული პროგრამა ბალებში წარმატებით ხორციელდება, ტარდება პრეზენტაციები, კეთდება პროექტები.

2019 წელში დასრულდა ზუნდაგის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და განახლდა სასწავლო-სააღმზრდელი პროცესი, რომელიც სრულიად აღიჭურვა ახალი ინვენტარით, ელექტრო და სამზარეულოს ინვენტარით ასევე კეთილმოეწყო და საბავშვო ატრაქციონებით აღიჭურვა ხარაულის, დანდალოს, პირველი მისის, ახოსა და ქედა №1 ბაგა-ბაღების ეზოები. ამჟამად მიმდინარეობს ორი ბაღის: პირველი მისისა და ახოს ბაგა-ბაღების რემონტი. ასევე 2020 წლისათვის გვაქვს დაგეგმილი ქედის N1 ბაგა-ბაღის რემონტი, რომელსაც 2010 -11 წელში ჩაუტარდა რემონტი.

ბაღების მოთხოვნის შესაბამისად გაერთიანებამ შეისყიდა და ბაღები მოამარაგა სხვა და სხვა ინვენტარით თუ ელექტრო და საოჯახო ტექნიკით, ასევე მომარაგებული არიან გათბობის საშუალებებით.

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება ორიენტირებულია, შექმნას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის უსაფრთხო და მათი განვითარების საჭიროებებზე მორგებული გარემო, სადაც ისინი მიიღებენ ხარისხიან სკოლამდელ განათლებას.

როგორც ვიცით მომავალი წლებისათვის დაგეგმილია ბაგა-ბაღების ავტორიზაციის პროცესის დაწყება ამისათვის კი ბაგა-ბაღები უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტანდარტებს როგორც ინფრასტრუქტურულს ასევე სააღმზრდელი სტანდარტებს ამისათვის კი საჭიროა თითოეულ ბაღს ყავდეს მეთოდისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი და გადამზადებული პედაგოგები ამ მხრივ გასულ წელს დაემატა რამდენიმე საშტატო ერთეული თუმცა არა საკმარისი. სამომავლოდ ბევრი სამუშაო იქნება ჩასატარებელი რათა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულმა ბაგა-ბაღებმა გაიარონ ავტორიზაცია.